



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბიღ ბეჭე-
უძი სიფყაას, ფყილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაფანა ყულა უკადრისბბაბე უსამაგლსია.

გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა


ოთხშაბათი, 30 ნოემბერი, 2022 წ. №180 (9518) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი



ინეს სტოლბენკოვი: ჩვენი პარტნიორები უსაფრთხოდ თუ არიან, ჩვენ უფრო დასულები ვიქნებით

„რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ არ დაგვავიწყა სხვა პარტნიორები, რომლებიც რუსეთის ზეწოლის, აგრესიისა და დაშინების წინაშე არიან. მეტიც, ამ ომმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა ჩვენი პარტნიორობა. სწორედ ამიტომ ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები ბუქარესტის შეხვედრაზე შეხვედებიან უკრაინულ კოლეგას, ასევე საქართველოს, მოლდოვის, ბოსნია და ჰერცეგო-

ვინის საგარეო საქმეთა მინისტრებს, რათა ვუპასუხოთ ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებს და გავაძლიეროთ ჩვენი მხარდაჭერა ამ ქვეყნების მედეგობისთვის, პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და მათი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისთვის, რათა ამ ქვეყნებმა უკეთ შეძლოთ თავდაცვა. თუ ისინი არიან მეტად დაცულები, ჩვენ ვიქნებით მეტად უსაფრთხოდ“....



„არც დრო, არც სივრცე,
არც ასაკი შენ არ გეხება...“



ნ. 9 გვ.

ამერიკული ბრანტი დადიანების სასახლის რესტავრაციისთვის

საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმს აზრის საელჩო გრანტი გამოუყო, რომლის ოდენობაც 300 ათას დოლარს შეადგენს.


ლევან ნიკოლეიშვილი: „ქალბატონო ელჩო, ასე არ სჯობს? უპერსპექტივო ენჯეოებში ფულის ჩასხმას, უკეთესი არ არის, ამერიკელი გადამხდელების ფული კარგ საქმეში დაიხარჯოს? ისე, რა ლოგიკაა, გიგაურებს და ლომჯარიებს ათეულობით მილიონს ახარჯავდეთ, დადიანებს – 300 000 დოლარს“

ზაზა შათირიშვილი: საღ გაგონილა, ხალხო, ქართველმა ბიზნესმენებმა ქართულ ეკონომიკაში ინვესტირებაზე ხელი აიღეთო, კაზარაშვილს კი შავი ფული შავ პოლიტიკაში ჩააღებინეთო!

„ყველაასათვის ცნობილია, რომ 2004-2012 წლებში ბიზნესის რევეტი საქართველოს ამერიკული ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი „საეიზიტო მარათი“ იყო. პოლიტიკაში ორ ინსტრუმენტს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა – ფულს და პროპაგანდას. შესაბამისად, ნებისმიერი, ვინც ძალაუფლების უხეში მეთოდებით მითვისებას ან შენარჩუნებას ესწრაფვის, პირველ რიგში, სწორედ ადამიანების აზროვნებაზე და ბიზნესზე ძალადობს. სწორედ ამით იყო გამოჩენილი საქართველოში 2004-2012 წლებში მოქმედი აგენტურა („ხალხის ძალას“ დავესესხებო) და ბუსტად იმავე მეთოდებით ცდილობენ იგივე ადამიანები ძალაუფლების დაზრუნებას ახლა უკვე ოპოზიციის რიგებიდან. ამ შემთხვევაში, ძალადობის ორიდან ერთ-ერთ მთავარ მიმართულებაზე – ბიზნესზე ძალადობაზე შევაჩერებ საზოგადოების ყურადღებას. ბოლო დროს, განსაკუთრებით გახშირდა რადიკალური ოპოზიციის თავდასხმები მისთვის მიუღებელ ბიზნესმენებზე. ბუნებრივია, თავდასხმის მთავარი ობიექტი, ისევე და ისევე, მიძინა ივანიშვილია, რომელსაც შევიცარული მანკის მემკვიდრეობა

ორმილიარდიანი ანგარიშის გაყინვით აშანტაუებენ. ორი-ოდე თვის წინ, რადიკალურმა ოპოზიციამ ელენე ხომტარიას პირით რამდენიმე ბიზნესმენის, მათ შორის ირაკლი ნუხაძის, ვანო ჩხარტიშვილისა და დავით ხიდაშელის სანქციონება მოითხოვა. პირდაპირი ამერიკული დაფინანსებით მოქმედმა მედიასაშუალებამ – „რადიო თავისუფლებამ“ ცოტა ხნის წინ საგანგებო სიუჟეტიც კი მიუძღვნა იმის მტკიცებას, თუ როგორ ანადგურებს „თანაინვესტირების ფონდისა“ და ირაკლი ნუხაძის საკუთრებაში არსებული ერთ-ერთი სამრეწველო კომპანია ქართულ ეკონომიკას. ბოლო დღეების განმავლობაში განსაკუთრებით გახშირდა თავდასხმები დავით ხიდაშელზე, რომელსაც რუს ბიზნესმენად მოიხსენიებენ და პრაქტიკულად, საქართველოდან ინვესტიციების გატანას აიძულებენ“, – აცხადებს შათირიშვილი. მისივე თქმით, ამერიკელებს და მათ აგენტებს ბიზნესის სისუფთავე რომ არ ადარდებთ, ალბათ, ყველაასათვის ცხადია.

ნ. 6 გვ.



ნ. 7 გვ.

მეხნიარებათა ეროვნულ აკადემიაში

**„ვაწლობა
ლაშარელაო,
მობონილია უენია“...
ღვთაებჩიუი საწყისის
გაბაყონება მთაში**

ეკონომიკის გაჯანსაღება გადაწყვეტილია!



ირაკლი ლაშვილი: ზედიზედ 2 წლის განმავლობაში, ჩვენ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რას სწორი ეკონომიკის პოლიტიკის შედეგია!

28 ნოემბერს მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღეს საზოგადოებას უნდა მივაწოდო ინფორმაცია მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე. ვფიქრობ, ჩვენ მივიღეთ სინტეზული გადაწყვეტილებები და ამის თაობაზე მინდა ინფორმაცია მივაწოდო ჩვენს საზოგადოებას, – თქვა სხდომაზე ირაკლი ლაშვილი.

მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზს დაგვახსენებთ და ნაცვლად 8,5%-ისა გვეჩვენა 10%. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ზედიზედ 2 წლის განმავლობაში გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, რაც სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. მინდა შეგახსენო ყველას, რომ დაახლოებით 80 მლნ ლარი იქნება მთლიანი შიდა პროდუქტი ჩვენი ქვეყნის. ეს ნიშნავს, რომ დაახლოებით, ერთ სულ მთავარსა და დახარჯვებით, კერძო კაპიტალი, ასე ვთქვათ, 7 500 ლარის მიაღწევს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი პროგრესია მთლიანი შიდა პროდუქტის განმავლობაში. ასევე მინდა ვთქვა, რომ მთლიანი წელიწადში დაახლოებით ასი ათასზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. უმუშევრობა ჩამოვიდა ისტორიულ მინიმუმამდე, სიღარიბის შემცირებაც გვაქვს და ყველა მიმართულებით გვაქვს ზრდა, იქნება ეს ტურიზმი, ექსპორტი თუ შიდა წარმოება. მოკლედ, ყველა მიმართულებით გვაქვს პოზიტიური მაჩვენებლები.

ფაქტობრივი მოვლინების დინამიკის გათვალისწინებით, ჩვენ ვზრდით 2023 წლის ნაერთი მიუჯეტის საკადასახადო შემოსავლების გეგმიურ მაჩვენებელს დაახლოებით 390 მილიონი ლარით. გარდა ამისა, გაიზარდება სესხების დაბრუნებისა და სხვა შემოსავლების გეგმიური მაჩვენებლები დაახლოებით 270 მლნ ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მომდევნო წელს რესურსი გვეზრდება 660 მილიონი ლარით და, შესაბამისად, ამავე თანხით გაიზარდება ნაერთი მიუჯეტი და კაში 25 მილიონი ლარი იქნება ნაერთი მიუჯეტი, – თქვა პრემიერმა.

2 წლის წინ სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება 50 ლარი იყო. 2023 წლის 1 ივლისიდან ეს დახმარება 200 ლარს გახდება!

პრემიერ-მინისტრის თქმით, სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარებისთვის 65 მილიონი ლარი დაიხარჯება. კერძო სექტორში დასაქმებულთათვის დეკრეტული შვებულების პერიოდში დახმარებას გავაორმაგებთ და პირველი იანვრიდან, 1000 ლარის ნაცვლად, 2000 ლარი გახდება!

მანამდე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2023 წლიდან, სკოლის მასწავლებლები დეკრეტული შვებულების დროს სრულ ხელფასს მიიღებენ.

„გერეთ წოდებული დეკრეტული შვებულებების საკითხი იყო საკმაოდ პრობლემატური. ამის თაობაზე მე პარლამენტშიც მოხსენიებდით საკითხის გადაწყვეტა. გვქონდა ამის თაობაზე მსჯელობა და გადაწყვეტილება, რომ კერძო სექტორში დასაქმებულთათვის გავაორმაგოთ დახმარება დეკრეტული შვებულების პერიოდში და პირველი იანვრიდან, 1000 ლარის ნაცვლად, გახდება 2000 ლარი. მანამდე, გახსოვთ, რომ ჩვენ სკოლის მასწავლებლებში შემთხვევითი ვაკუუმისა და მომდევნო წლიდან სკოლის მასწავლებლები დეკრეტული შვებულების დროს სრულ ხელფასს მიიღებენ. ახლა უკვე, კერძო სექტორში დასაქმებულთათვისაც გადაწყვიტეთ და ეს დახმარება, 1000 ლარის ნაცვლად, იქნება 2000 ლარი“, – განმარტა ირაკლი ლაშვილი.

ჩვენ გადაწყვიტეთ, დავიწყოთ საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც სამ ეტაპად განხორციელდება. პირველი ეტაპი დაიწყება 2023 წლის 1 იანვრიდან და ამ პროგრამის დაფინანსებაში მიიღონ 100 მილიონი ლარი. სულ პროგრამა 1,3 მილიონი ლარი დაჯდება.

„კიდევ მინდა გამოვყო რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. განათლების მიმართულებით ჩვენ, გახსოვთ, რომ 400 მილიონი ლარით გავზარდეთ მიუჯეტი. ამის ფარგლებში, ჩვენ გვაქვს დაგეგმილი 500 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მაგრამ ჩვენ დამატებით კიდევ 150 მილიონ ლარზე მეტს მივმართავთ განათლების დაფინანსებაზე. მინდა, რომ გაცნობოთ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების თაობაზე. იცით, რომ ბაღები ძალიან სავალალო მდგომარეობაშია ქვეყნის მასშტაბით. ბატონმა ირაკლიმ ქარსელაძემ, ჩემი დაგეგმებით, დაამუშავა ეს საკითხი. გამოიკვთა, რომ 885 საბავშვო ბაღი საჭიროებს მშენებლობა-რეაბილიტაციას. ამიტომ, ჩვენ გადაწყვიტეთ, დავიწყოთ საბავშვო ბაღების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამა.

იცით, რომ ჩვენ ანალოგიური პროგრამა დაწყებული გვაქვს და პირველი იანვრიდან დაიწყება სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია. აქაც გვაქვს დაახლოებით 800 სკოლა ჩასმული. 500 სკოლას ვიწყებთ გაისად, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი მომავალი თაობისთვის. ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობა, ჩვენი ბავშვები უნდა იზრდებოდნენ ჯანსაღ, ნამდვილად კარგ გარემოში. ეს უნდა დავიწყოთ საბავშვო ბაღიდან, შემდეგ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. გარდა ამისა, 30 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება სკოლებში კომპიუტერული ლაბორატორიების მოწყობისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

200 მლნ ლარი გამოიყოფა ტურიზმის მიმართულებით, ახალი ტურისტული ლოკაციების განვითარების პროგრამაზე. ასევე, პოლიციას დაემატება 35 მლნ ლარი.

ჩვენივე, ყველასთვის, კარგად არის ცნობილი, რომ ტურიზმი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წვლილის შემტანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში და ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ მუშაობა ახალი ტურისტული ლოკაციების ჩამოყალიბებაზე. ჩემი დავალებით, ეს პროგრამა უკვე გამზადდება. ამის თაობაზე საზოგადოებას რამდენიმე ხანში წარვუდგენთ უკვე კონკრეტულ გეგმას, რომელიც როგორც არსებული ლოკაციების, ისე ახალი ლოკაციების განვითარებას შეეხება. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, თბილისში ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად დამატებით გამოიყოფა 170 მლნ ლარი.

„თბილისში ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად დამატებით გამოიყოფა 170 მლნ ლარი. ჩვენ ასევე 30 მლნ ლარით გავზარდეთ ბატონი ირაკლი ქარსელაძის უწყებას მიუჯეტი. კულტურისა და სპორტის მიმართულებით გამოიყოფა 55 მილიონი ლარი და ასევე ჩვენს პოლიციას დაემატეთ 35 მლნ ლარი.

ესაა ძირითადი მიმართულებები, რამაც გადამაწვლდება ახალი მიუჯეტი და დამატებითი რესურსი, რომელიც ჩვენ გამოვიყენებთ 660 მლნ ლარის ოდენობით. რა თქმა უნდა, მოთხოვნები გაცილებით მეტი იყო, სამინისტროებს ჰქონდათ კონკრეტული გეგმები წარმოდგენილი, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ ასე ჩავთვალეთ, რომ ეს არის ის აუცილებლად გასაკეთებელი და დასაფინანსებელი პროექტები და პროგრამები, რომლებიც წაადგება ჩვენს ქვეყანას და, ზოგადად, ჩვენს ხალხს“, – აღნიშნა პრემიერმა.

ჩვენ მიმდინარე წელს დამატებით კიდევ ველოდებით 400 მილიონ ლარზე მეტს. ამის ფარგლებში, ჩვენ შევამცირებთ მიუჯეტის დეფიციტს და ჩამოვიყვანოთ 3,1%-მდე! მთავრობის მეთაურის თქმით, მიუჯეტის დეფიციტი წლის დასაწყისში იყო 4,4% და ახლა ეს ციფრი 3%-მდე დაიწვეს. ჩვენ ვიწყებთ მასშტაბურ პროექტს, – ეს არის დეფიციტის ბიზნეს მშენებლობა. 7000 თაბახზე არის გათვლილი საცხოვრებელი ბიზნესის მშენებლობა.

წელსვე ამ ბიზნის 50 მილიონ ლარზე მეტი გამოიყოფა. ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით, ჩვენ გვაქვს გეგმა, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში ჩამოვიყვანოთ მსოფლიო დონის ვანსკვლავები!.. პრემიერის თქმით, ივნისში, ივლისში, აგვისტოსა და

სექტემბრის დასაწყისში ქვეყანაში გაიმართება მსოფლიო დონის შემსრულებლების კონცერტები.

ეს არის ძირითადი ცვლილებები, რაც უკავშირდება მიუჯეტს, როგორც წლებადღეს, ისე ახალ მიუჯეტს. როგორც მოგახსენეთ, პარლამენტში გაიგზავნება 30 ნოემბერს და, იმედი მაქვს, ჩვენი პარლამენტის მხარდაჭერისა, – განაცხადა პრემიერმა. პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, მთავრობის სხდომაზე ბიზნესის დაკანონების საკითხიც განიხილეს.

პრემიერის თქმით, არსებობს ინფორმაცია, თითქოს PSP-ის ავთოაქტში მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა ხდება თურქულ მედიკამენტებთან დაკავშირებით. და, თუ მსგავსი რამ განმეორდა, ძალიან მკაცრი რეაგირება მოჰყვება თითოეულ შემთხვევას.

ერთი საგანგაშო ინფორმაცია მოვისმინე რამდენიმე დღის წინ. მინდა პირდაპირ –დავასახელო ეს კომპანია – PSP, თითქოს PSP-ის ავთოაქტში მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას აქვს ადგილი. მაგალითად, როცა შედის მომხმარებელი და კონკრეტული წამლის ყიდვას ითხოვს და, ეს ვიცი, რომ დაელოდები, გამყიდველი ეუბნება, რომ რომელი გნებავთ, ხარისხიანი, ძვირიანი თუ უხარისხო თურქული. ამას რა ჰქვია, თუ არა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. ესაა მტრობა, პირდაპირ. როგორ შეიძლება ადამიანმა ასეთი უმსგავსომა ჩაიდინოს და მომხმარებელი შეიყვანოს შეცდომაში, პენსიონერი და ძალიან ბევრი გაჭირვებული ადამიანი ყიდულობს წამალს, ნებისმიერ შემთხვევაში, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შევა ავთოაქტში. ამას სჭირდება რეაგირება. მე ამის თაობაზე მქონდა საუბარი ბატონ ზურა აზარაშვილთან. მსგავსი ფაქტის განმეორების შემთხვევაში, ძალიან მკაცრი რეაგირება მოჰყვება თითოეულ ასეთ შემთხვევას. ესაა დაუშვებელი, მიუღებელი კატეგორიული. გასაგებია, რომ ეს 200 მლნ ლარი, რომელიც მათ უნდა წაეღოთ და მათ შორის ამ ჯეფის ხელმძღვანელს, ეს მათთვის არაა სასიამოვნო ინფორმაცია, მაგრამ ჩვენი მთავარი ვალდებულება, მინდა, ყველას შეგახსენო, მათ შორის, ოპოზიციას და ოპონენტებს, არის ჩვენს ხალხზე ზრუნვა და, სწორედ, რაც ხალხს სჭირდება, ის უნდა გავაკეთოთ. ამიტომ, ამ პროცესს ვერავინ შეაჩერებს!

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ზურა აზარაშვილი აქტიურად მუშაობს მედიკამენტების ფასების შემცირების საკითხზე და პრემიერის ინიციატივის, კერძოდ, თურქეთის ბაზრის გახსნის შედეგად, დაახლოებით 200 მლნ ლარს ზოგავს ქვეყნის მოსახლეობა წელიწადში.

მთავრობის მეთაურმა სხდომაზე ისაუბრა სოციალურად დაუცველების დასაქმების პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამით დაახლოებით 30 000-მდე სოციალურად დაუცველი დასაქმდება. პრემიერის განცხადებით ქვეყანაში მინიმუმ 200 000 შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველია და მთავრობის სურვილია, რომ ყველა ეს ადამიანი დასაქმდეს.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მნიშვნელოვანია, სოციალურად დაუცველების არა მხოლოდ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა, არამედ მათი ეტაპობრივი გადასვლა და მათი პროფესიული უნარების განვითარება. მთავრობის მეთაურის თქმით, კერძო სექტორში სამუშაო ძალის ნაკლებობას უჩივის და ამაზე მიზნის წარმომადგენლებმა მასთან შეხვედრაზეც ისაუბრეს.

„მინდა კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს შეგხვებო. იმის მიუხედავად, რომ ამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა, ძალიან ბევრი დამსაქმებელი, მათ შორის, სამშენებლო სექტორში და სხვა სექტორის დამსაქმებლები, მიზნის უჩივის სამუშაო ძალის ნაკლებობას. 100 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა, მაგრამ მოთხოვნა არის გაცილებით მეტი. გაცილებით მეტი ადამიანი შეიძლება დასაქმდეს ქვეყანაში. მე, პირადად, მქონდა საუბარი მიზნის წარმომადგენლებთან, მე მქონდა შეხვედრა მათთან რამდენიმე კვირის წინ და ყველა ამბობს ერთხმად, რომ აუცილებელია სამუშაო ძალის გაზრდა. ეს როგორ უნდა გააკეთოს მთავრობამ. რა თქმა უნდა, მზად არის, რომ მიზნისთან კიდევ უფრო აქტიური კომუნიკაცია ჰქონდეს და კოორდინირებულად იმუშაოს“, – დასძინა ირაკლი ლაშვილი.

მთავრობის ადმინისტრაციის პრესამსახური

ჯულიან სმიტი: ჩვენ სულ უფრო მეტად ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ შევთავაზოთ ჩვენი მხარდაჭერა საქართველოს მოსახლეობას

„ჩვენ ორიენტირებული ვართ საქართველოზე და რუსეთის საქმიანობაზე ჯერ კიდევ 2008 წლიდან, როცა რუსეთი საქართველოში შეიჭრა. როგორც იცით, ისინი ჯერ კიდევ საქართველოში არიან. შეფასების კუთხით კი, არის თუ არა საკმარისი, საქართველოს მოსახლეობას დაგუტოვებ შესაფასებლად. მაგრამ ვიტყვი, რომ აღინიშნა სრულ თანხმობაში იყო, რომ ეს სამი ქვეყანა უნდა დასწრებოდა მინისტრიალს, რადგან ჩვენ გვინდა ვიპოვოთ გზები ამ ქვეყნებისადმი ჩვენი მხარდაჭერის გასაძლიერებლად, ვინაიდან ისინი გრძობენ უკრაინის ომის რეალურ გავლენას და ასევე, რათა ვიპოვოთ გზები ამ მნიშვნელოვანი პარტიზორობის გასაძლიერებლად“, – აღნიშნა აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატოში ჯულიან სმიტმა.



„ბებერი“ ნაც-მოძრაობა მესამე ადვილად დაგლიჯა!



„ნაცმოძრაობის“ არსებობა ფიასკოს უახლოვდება. ამის მიუხედავად, ამ მომავლადი პარტიის ლიდერობისთვის თავს იკლავენ. „ნაცმოძრაობის“ „მომხრეობის“ ნიშნად მიღიან მხოლოდ მეორე „მომხრეობის“ ლევიან ხაზში მნიშვნელოვანი უპირისპირდება, ზურაბ ჭიჭინაძის მხარეზე გადასვლა და შესაძლოა, ჭიჭინაძის მიერ დატოვებული კვიციანის კიდევ ერთი კონკურენტი.

ის-ის იყო, ლევიან ხაზი შევიდა საკუთარ თავს შემოუძახა, ნაცთა ამხელა პარტიის თავმჯდომარეობას როგორმე გაექანავო, რომ ზურაბ ჭიჭინაძის მიერ ივეს ცივი წყალი გადაასხა, ვერც მელია და ვერც ხაბიძის პარტიის გაერთიანებას ვერ შეძლებს, მე კი ამის პოტენციალი გამაჩნიაო.

ამ ყველაფრის შემხედვარე ცინიკოსმა რომან გოცირიძემ კარგად შეიგრძნო საკუთარ პარტიაში მიმდინარე პროცესთა ტრაგიკომიკურობა და ნაცებს კიდევ ერთი კანდიდატურა შესთავაზა – „ბარემ „ნაცმოძრაობის“ პარტიის თავმჯდომარის პოსტზე კენჭი იყაროს განდგომილმა სოზარ სუბარმა, ისიც ხომ ერთ დროს „ნაციონალი“ იყო?!“

როგორი იქნება ურთიერთდაპირისპირების არენად ქვეყნის „ნაცმოძრაობის“ მომავალი, ეს ყოფილ და მოქმედ „ნაციონალებს“ თანაბრად აშფოთებთ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიზნესპარტნიორის ყოფილი დირექტორი ნინო კალანდიაძე ეტყობს, რომ „ნაცმოძრაობა“ შეიძლება ჩამოყალიბდეს უსუსურ ოპოზიციად, რომელიც ვერასდროს შეძლებს მართვის სადავეების ხელში აღებას. უფრო კონკრეტულად, ნინო კალანდიაძე საშიშროებას ხედავს, რომ „ნაცმოძრაობის“ ცუდი თავმჯდომარე (ნიკა მელია) ჩაანაცვლოს ისეთივე ცუდმა ან უარ-

ზადებიანი იმის თქმა, რომ მომავალში „ნაცები“ უსუსურები იქნებიან, ისინი უსუსურები უკვე არიან!

ესმა (სავარაუდოდ, ლევიან ხაზი შევიდა) თავმჯდომარე.

ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე ფიქრობს, რომ „ნაციონალიზმი“ კარგა ხანია, უსუსური ოპოზიციად, არასწორია მოსაზრება, თითქოს „ნაციონალიზმი“ მომავალში შეიძლება ჩამოყალიბდეს უსუსურ ოპოზიციად!

„მე მგონი, 2012 წლის შემდეგ „ნაციონალიზმი“ სულ უსუსური იყო. მათ ვერც ერთი არჩევნები ვერ მოიგეს. ამიტომ ზედმეტია იმის თქმა, რომ მომავალში „ნაციონალიზმი“ უსუსურები იქნებიან, ისინი უსუსურები უკვე არიან სწორედ იმ არასწორი პოლიტიკით, რასაც ისინი ახორციელებენ. ამის ერთ-ერთი და არა ერთადერთი გამოვლინება არის ამჟამინდელი დაპირისპირება მელიასა და ხაბიძის გუნდებს შორის, რასაც ახლა ვაკვირდებით. ასეთ შეცდომებს რომ უშვებენ, ამიტომაც არ აქვთ მხარდაჭერა საზოგადოებაში. მელია და ხაბიძის ერთმანეთს ეცილებიან „ნაციონალიზმის“ ლიდერობას“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ანალიტიკოსი იგორ კვიციანაძე მიიჩნევს, რომ კანონზომიერია ის, რაც „ნაციონალიზმი“ ხედავს. მისივე მოსაზრებით, პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდმივი არაფ-

ერი და გარკვეულ კანონზომიერებას ემორჩილება. ყველაფერი ბერდება ბუნებაში და „ნაციონალიზმი“ უკვე დაბერდა, როგორც მოძრაობა, გასაქანი არ მიეცა მას, მისი სულის შთამბერავი იყო მიხეილ სააკაშვილი. ოპოზიციის ე.წ. ვერც ერთი მესიტყვე თუ ბელადი სააკაშვილთან ახლოსაც ვერ მივა, მიუხედავად სააკაშვილის შეცდომების და გადაცდომების. საქართველოში აკადემიური პარტიები არ გვყავს, რომელთაც მრავალწლიანი ტრადიციები ექნებოდათ, როგორც ამერიკას, გერმანიას, იტალიას. ჩვენ ვართ ძიების პროცესში და ამ ძიებას 30 წლის მანძილზე ახლავს მკვეთრი დაპირისპირება. მკვეთრი დაპირისპირებაა თვითონ სახელისუფლო გუნდს შორის, ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შორის.

„საქართველო, წესით, საპრეზიდენტო რესპუბლიკა უფრო უნდა იყოს, ვიდრე საპარლამენტო, ვინაიდან საპარლამენტო რესპუბლიკა მოითხოვს ეკონომიკის, კულტურის მაღალ დონეს. თუმცა მაინც მხოლოდ საპარლამენტო მოდელზე გადასვლა და ეს დაკავშირებული იყო სააკაშვილის ე.წ. სამშვიდობო გადატრიალებასთან, კერძოდ, საპრეზიდენტო გადატრიალებასთან, რომ არ უნდა ყოფილიყო ძლიერი პრეზიდენტი საქართველოში, რადგან სააკაშვილს უნდა დაეკავებინა პრეზიდენტი-მინისტრის თანამდებობა, ამიტომ ჩვენ გადავე-

დით საპარლამენტო რესპუბლიკაზე. ასეთი ვითარება ძალიან ცუდია. არა მარტო ქონებრივი პოლარიზაცია საქართველოში, არამედ პოლიტიკური პოლარიზაცია, რაც პარტიებზეც აისახება“, – აცხადებს იგორ კვიციანაძე.

მისივე თქმით, „ნაციონალიზმი“ უსუსურ ოპოზიციად გადაიქცევა, განურჩევლად იმისა, ვინ იქნება მის სათავეში – მელია, ხაბიძის მიხედვით, თუ ჭიჭინაძის მიხედვით, თანაც ვისი წარსულითა და შეუფერებელი გამოვლენებით. ეს იქნება ერთმანეთთან დაპირისპირებული ოპოზიციები და ეს პროცესი აუცილებლად მოახდენს გავლენას ამომრჩევლებზე, რომელთა უდიდესმა ნაწილმა უკვე დაიწყო ფიქრი სხვა რომელიმე ოპოზიციურ პარტიაზე გადასვლაზე. საბოლოოდ, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს „ნაციონალიზმის“ ლიდერად, ეს იქნება „ნაციონალიზმის“ დიდი ხის დაგლეჯა, როგორც ეს ხდება მესხის დარტყმის დროს, ამ ხის ცალ-ცალკე ტოტები მაინც დარჩება, მაგრამ მათი ძალა არ იქნება ძლიერი და ანგარიშგასაწვეი.

აქედან გამომდინარე, რაც უფრო სუსტი იქნება პოლიტიკოსი, მისი პარტია უფრო სუსტი იქნება. „ნაციონალიზმი“ გარკვეულ ჯგუფებად დაიყოფა, შესაძლოა, მან არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს და გაიყვანოს მხოლოდ 2-3 წარმომადგენელი.



რამაზ საყვარელიძე: რადგან რუსული მოდელით ვერ გაკონტროლდებიან არასათმთავერობები. იქნებ შეიქმნას ისეთები, რომლებიც დააბალანსებენ პოლიტიკურად მოტივირებულ პოპულარს

მას შემდეგ, რაც „იმედის“ ეთერში სიუჟეტი გავიდა, სახელწოდებით – „მედიარი ენჯელების კლანი“, არასამთავრობო სექტორის მოლოდინი გაუჩნდა, რომ ხელისუფლებმა არასამთავრობოების მკაცრ საკანონმდებლო ჩარევებში მოქცევის ცდილობდა. პერიოდულად მართლაც ჩნდება ხოლმე კითხვები, რამდენად მიზნობრივად ხარჯავს არასამთავრობო სექტორი დონორებისგან მიღებულ სოლიდურ თანხებს და ხომ არ არის არასამთავრობოთა ქმედება სახელმწიფოს წინააღმდეგ, კონკრეტულად კი ერთი პარტიის „ნაციონალიზმის“ სასარგებლოდ მიმართული?!

არასამთავრობოები ამის პასუხად აცხადებენ, რომ მათი დაფინანსების წყაროები ღიაა და მათ მიერ დახარჯული თანხებს საერთაშორისო აუდიტორული სამსახურები ამოწმებენ.

სხვათა შორის, არასამთავრობოთა დაფინანსების გაკონტროლება გადამწყვეტი უნგრეთმა. იმ არასამთავრობოებმა, რომლებიც 24 000 ევროზე მეტ დაფინანსებას უცხოეთიდან იღებენ, ყოველწლიურად დეტალური ანგარიში უნდა წარადგინონ.

„ენჯელო“ სექტორის სიკვდილი ჩვენი მიზანი არ არის“, – აცხადებს „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე. სამაგიეროდ, „ხალხის ძალა“ მოითხოვს, არასამთავრობო სექტორის დაფინანსება მკაცრ საკანონმდებლო ჩარევებში მოქცეს, რადგან ამერიკული დაფინანსების უდიდესი ნაწილი ენჯელებზე არის მიმართული და აგ-

ენჯელებს, დასავლეთის შიშით, პერაპინს აკონტროლებს!

ენტოკრატის ხმარდება. არასამთავრობოთა დაფინანსების გაკონტროლების მომხრეა კახა კალაძე. დედაქალაქის მერის აზრით, საქართველოში მოქმედი არასამთავრობოები პოლიტიკაში არიან ჩართულნი, პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებენ, ისინი არიან პოლიტიკური პარტიები. ამდენად, კახა კალაძე ფიქრობს, რომ არა მხოლოდ არასამთავრობოთა დაფინანსება, არამედ ყველა მათი ქმედება უნდა იყოს გამჭვირვალე. ისინი უნდა იყვნენ აპოლიტიკური, თუმცა რატომღაც საქართველოში ყველაფერი შეტრიალებულად ხდება. უფრო მეტიც, კალაძის აზრით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ განწყობა რაც აქვს საზოგადოებას, ეს თავად მათი დამსახურებაა.

რატომ ვერ ახერხებს ჩვენი არასამთავრობო სექტორი, იმის აკონტროლს და როგორ უნდა მივიღოთ პოლიტიკურად ანგაჟირებული „ენჯელო“-მინისტრის აკონტროლი არასამთავრობოებში?

ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე აცხადებს, რომ უკლებლივ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ ხელაღებით ვერ ვიტყვი, რომ ისინი ქვეყნისთვის საზიანო საქმით არიან დაკავებული. სასარგებლო საქმესაც, ალბათ, ვიღაც აკეთებს, მაგრამ მათ მიერ გაკეთებული სასარგებლო საქმეები ნაკლებად ცნობილია, რადგან პოლიტიკურად ანგაჟირებული „ენჯელები“ გაცილებით მეტს ხმაურობენ.

„თუ დასავლეთში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად დაკავებული არიან იმ საქმეებით, რომელსაც ვერ ახერხებს სახელმწიფო, ჩვენთან პირიქითაა, ჩვენთან არასამთავრობო ორგანიზაციები დაკავებული არიან ზუსტად იმ საქმეებით, რაც სახელმწიფოს პერფორმაციაა. ფაქტობრივად, ჩვენი არასამთავრობოები პოლიტიკური პარტიის ფუნქციას ითავსებენ და ებრძვიან ხელისუფლებას, ეს წითელ ხაზად გასდევს მათ მოღვაწეობას. ამიტომაც ჩანს ასეთი ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ხმაურობენ, ხოლო ის არასამთავრობოები, რომლებიც წყნარად, რუდუნებით აკეთებენ ქვეყნისთვის საჭირო საქმეს, აღარ ჩანან“, – მიიჩნევს რამაზ

საყვარელიძე, რომლის აზრითაც, საკმარისია, პოლიტიკური მოტივით გაკონტროლდეს არასამთავრობოების დაფინანსება და გაიკვევს, ისინი ქვეყნისთვის საზიანო საქმეს აკეთებენ თუ არა, ეს უკვე სახიფათო იქნება, მთელი მსოფლიო ატყის ამაზე ხმაურს, რომ საქართველოში თურმე არასამთავრობოებს ხელს უშლიან.

ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ზუსტად ასეთივე პრობლემა დგას იმ ქვეყნებში, სადაც არასამთავრობოები შეავინროვეს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთში, სადაც პირდაპირ უცხოელების აგენტებს ექაბიან არასამთავრობოებს, ეს იარაღი შექმნეს და ამ სახელით მოიხსენიებენ მათთვის მიუღებელ ადამიანებს. ამდენად, რუსული მოდელი რომ არ არსებობდეს, კიდევ შეიძლებოდა საკანონმდებლო წესით რაიმე რეგულაციაზე ფიქრი საქართველოში, მაგრამ რადგან რუსული მიუღებელი მოდელი არსებობს, იმავე გზის გამეორება არ იქნება შედეგიანი.

იმის გამო, რომ რუსული და აზერბაიჯანული მოდელით ვერ გაკონტროლდებიან არასამთავრობოები და ვერც მათი ფინანსები გაკონტროლდება, რამაზ საყვარელიძე გამოსავალზე საუბრობს, კერძოდ, იქნებ შეიქმნას ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სანაწარმოებლად იტყვიან და დააბალანსებენ პოლიტიკურად მოტივირებულ „ენჯელების“ პოპულარს.

„შეგობრში უნდა შევიდნენ ამ არასამთავრობოებთან, უნდა შეიქმნას ისეთი არასამთავრობოები, რომლებიც სახელმწიფოს სასარგებლო საქმეს გააკეთებენ და თან კონკურენციაში შევლენ იმ არასამთავრობოებთან, რომლებიც სახელმწიფოსთვის საზიანოდ მოქმედებენ. ამ კონკურენციით უნდა მოიგონ მათ და არა ძალისმიერად. თუცა ერთი ცდაა, უკვე ცნობადი არასამთავრობოები დასავლეთშიც ცნობილი არიან, მათ მოახერხეს უცხოეთში კავშირების დამყარება, ამიტომ სხვა არასამთავრობოებმაც უნდა მოახერხონ ასეთივე კავშირების გაბმა დასავლეთში“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.



ყველაფერი იჭებება?

მსოფლიოში ხელოვნური ხორცის მოხმარება იწყება

ბუნებრივი ხორცის გაყიდვა იწყება. ამერიკის სურსათისა და წამლების ადმინისტრაციამ ლაბორატორიული ხორცის გაყიდვა დაამტკიცა. როგორც ირკვევა, კალიფორნიაში დაფუძნებული UPSIDE Foods-ი მუშაობს უჯრედული კულტივირებით ლაბორატორიაში გამოყვანილი ქათმის ხორცის წარმოებაზე. UPSIDE Foods-ის გარდა არის სხვა კომპანიებიც, რომლებმაც გამოიყენეს იგივე მიდგომა, რათა დაამუშაოთ ხელოვნური ხორცი მათი დაკვლის გარეშე.

„ხორცი ცხოველების გარეშე“ როდის გამოჩნდება საქართველოში, არავინ იცის. ბოლომდე არც ის არის გამოკვლეული, მოახდენს თუ არა ხელოვნური ხორცის მიღება ნეგატიურ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე, მაგრამ საქონლის უჯრედიდან ხელოვნური ხორცის გამოყვანის ტექნოლოგია უკვე დიდი ხანია ცნობილია. ხელოვნური ხორცი ფასტ-ფუდის მენიუში რამდენიმე წლის წინ გამოჩნდა. დღესდღეობით მცენარეული ხორცის ბაზარი წელიწადში 8,4%-ით იზრდება. წინასწარი პროგნოზით, 10 წლის შემდეგ მსოფლიოში მოხმარებული ხორცის 10% ხელოვნური იქნება.

ხელოვნური ხორცის მოხმარება ერთდროულად რამდენიმე პრობლემას გადაწყვეტს – დედამიწაზე არსებულ შიმშილსა და ატმოსფეროს დაბინძურებას შეამცირებს. სასაბურთე გაზების 14,5% გამოყოფა სწორედ მეცხოველეობაზე მოდის, ეს კი მეტია, ვიდრე მსოფლიოში არსებული მთელი ტრანსპორტის წვლილი. ეკოლოგიური თვალსაზრისით, ხორცის წარმოება გლობალურ დათბობაზე უარყოფითად აისახება, რადგან პირუტყვი გარემოში ბევრ გაზსა და ნახშირორჟანგს გამოყოფს. ამასთან, თითოეული კილოგრამი ხორცის მისაღებად დიდი რაოდენობით წყლის რესურსია საჭირო.

არა მხოლოდ ამერიკა და ინტერესებული ხელოვნური ხორცის წარმოებით, კომპანია Future Meat Technologies-მა ისრაელში მსოფლიოში პირველად ხელოვნური ხორცის საწარმოებლად ფაბრიკა გახსნა, სადაც დღეში საშუალოდ 500 კილოგრამ ღორის, ქათმის და ცხვრის კულტივირებულ ხორცს აწარმოებენ. კომპანია ხელოვნურ ხორცს სპეციალურ ბიორეაქტორებში შექმნილი უჯრედებისგან ამზადებს, რისთვისაც იმ ნივთიერებებს იყენებენ, რომლებითაც ცხოველებს კვებავენ. ხელოვნური ხორცი გაჯერებულია ცხიმებითა და იმ კვებითი ღირებულებით, რაც ნამდვილ ხორცს გააჩნია.

ბოლო დროს გახშირდა შემთხვევები, როცა კვების ობიექტებში ვირუსი და ცხენის ხორცი იყიდება. შპს „ლიდერი“, რომელიც ასეთ სორცბროდუქტებს ყიდდა, დაჯარიმდა და შეუჩერდა სამწარმოო საქმიანობა, მაგრამ, სავარაუდოდ, ასეთი შემთხვევები სხვა მწარმოებთანაც იქნება. უბრალოდ, მათი გამოვლენა არ ხერხდება.

სახედრის და ცხენის ხორცის გაყიდვა იმით არის განპირობებული, რომ ჩვენი ქვეყნიდან ახალგაზრდა საქონელი გადის არაბეთში, ირანში, აზერბაიჯანში, რაც საქართველოში ხორცის დეფიციტს განაპირობებს. იმის გამო, რომ საქართველოში ჯანმრთელ ვირს და ცხენს არავინ კლავს, ეს ხორცი იმთავითვე საექსპორტო სურსათად არის მიჩნეული.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ქვემო ქართლში ცხენების უკანონო სასაკლავო მიწაზე. სოფელ ვაშლოვანში ფიზიკურ პირს საკუთარ ეზოში უკანონო, კუსტარულად მოწყობილი სასაკლავო ჰქონდა, სადაც ხდებოდა ცხენების დაკვლა. მას 1000 ლარის ოდენობით ჯარიმა დაეკისრა.

მოხმარებელთა უფლებების დაცვის ასოციაცია „ექტიკის“ ხელმძღვანელი ამირან შენგელია For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ქართულ ბაზრებზე სახედრის და ცხენის ხორცის გამოჩენა განპირობებულია იმით, რომ არავინ მოითხოვს საბუთებს, რას წარმოადგენს ეს ხორცი.

ჩვენ სასაკლავო ვიყავით, ვნახეთ, რა საქონელი იყო იქ. როგორც წესი, სასაკლავოებზე არ კლავდნენ ვირს და ცხენს. ამას უფრო ვირუსი პირები აკეთებენ. ცხენის ხორცის მირთმები მიზანშეწონილი არაა, მაგრამ მავნებელიც არ არის. ვირის ხორცი კი საერთოდ აკრძალულია, არც არასდროს ყოფილა ვირის ხორცი ნებადართული, რადგან მავნებელია. რაც ადამიანს სჭირს ქრონიკული დაავადება, ვირის ხორცი იმ დაავადებებს აუარესებს. როცა ადამიანი ყიდულობს საქონლის ხორცს, სირცხვილი არ არის საბუთების მოთხოვნა, უნდა ჰქონდეს ფორმა 2, უნდა შეხედო, ბეჭედი, შტამპი დარტყმული აქვს თუ არა ხორცს, – აცხადებს ამირან შენგელია.

მისივე თქმით, ზოგიერთი სასაკლავო სკოდავს იმ მხრივ, რომ, მაგალითად, ცხვარს ბოლომდე არ ამონებენ, დაკვლის დროს რა

ფრთხილად, გატყუებენ!

უსინდისონი სხენებს და სახედრებს იპარავენ, ქაჯან და საქონლის სოცხად ასაღებენ...

მდგომარეობაშია და თავისთან არ კლავს. დეზერტირების ბაზარზე უნდათ გაყიდონ ცხვარი და ამ დროს უნდა წაიყვანონ სასაკლავო ნავთლულის ბაზართან, წასვლისას და დაკლული საქონლის უკან წამოღებისას შიგინებს ვერ იცავენ. ყველაზე ცუდი ის არის, რომ საბარგულში ჩააგდებენ, ბინძურ გარემოში, თავიდან ვითომ ხორცის სუფთა ნაჭერი, მაგრამ სუფთა ნაჭერი იყო პირველ დღეს, მეორე დღეს კი ბინძურდება, სისხლი ბაქტერიებისთვის ყველაზე ნოყიერი ნიადაგია, სისხლი ბაქტერიების ბუდე ხდება, ამ ნესებს ვერ იცავენ.

მოხმარებელთა უფლებების დამცველი ამბობს, რომ შეიძლება დედაქალაქს არ ჰყავს ამდენი ვეტექიმი, მაგრამ შეუძლიათ სტუდენტები მოიხმარონ, ვისაც შეუძლია საქონლის და ცხენის თუ ვირის ხორცის გარჩევა.

შარშან თბილისის დღესასწაულზე სპორტის სასახლესთან ცხენის ხორცს ყიდდნენ, თანაც ვარც ნაჭრებს. ვკითხე, რის ხორცია ეს, ცხენის თუ ვირის-თქო და ფოკუსივით გაქრნენ იმ ადგილიდან, დაიმახინნ. ამას უნდა ამონებდეს პოლიცია და ვეტსამსახურიც. ვეტერინარული სამსახური ფიზიკურად ვერ შეძლებს ყველა ადგილზე მისვლას, მაგრამ სადაც საჭიროა, იქ მაინც მივიდნენ, – ამბობს სპეციალისტი.

მისივე თქმით, საქონელი და ნომრილია, ყურებზე აქვს სპეციალური ნომერი. როდესაც დაკლავდნენ საქონელს, ის ნომერი უნდა მიუთითონ, ფორმა 2 რომ შეავსონ, ნომერი უნდა და-

ფიქსირდეს, ნომრის გარეშე პასუხს აგებს ყასაბიც და სასაკლავოც. ცხენს და ვირს კი არავითარი ნომერი არ აქვს, მინდორში ცხენებს და სახედრებს იპარავენ, ცხენის მოპარვა ძნელი არ არის, წაიყვანენ, დაკლვენ და ახალი წლისთვის ყიდიან. თუ არ გაიყიდება, იქვე ტოვენ. სახედრისა და ცხენის გაყიდვა იაფი უჯდებათ. სახლში მომზადებისას ცხენის ხორცს სპეციფიკური სუნი აქვს, დიდად ვერც განასხვავებენ საქონლის ხორცისგან. ცხენის ხორცი მოკვლით არ მოკლავს ადამიანს, არ მოწამლავს, მაგრამ ვირის ხორცი მოწამლავს. თანაც, ცხენის ხორცი შედარებით იაფია, საქონლის ხორცი თუ 18-20-22 ლარი ღირს, ცხენის ხორცი 15 ლარია. ამიტომ ხორცი აუცილებლად მალაზიებში, დაფიქსირებულ ადგილებში უნდა შევიდნოთ. მდიდარიც და ღარიბიც უნდა აკითხავდეს ერთ სანდო მალაზიას, სადაც იყიდის ხორცს. მუდმივ კლიენტს ცოტას უკლებენ თანხას, კარგ ნაჭრებსაც აძლევენ. ასეთ მალაზიებს წელიწადში ერთ-ორჯერ მაინც ამონებენ. ხორცის გასაყიდ ადგილას დაცული უნდა იყოს ჰიგიენური პირობები, ყასაბი ყასაბს უნდა ჰგავდეს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეთერ სარჯველაძე ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ შემომგება სჭირდება, რათა მასობრივი ხასიათი არ მიიღოს ცხენის და სახედრის ხორცის გაყიდვა.

თეთრიწაროში ყოფილა ცხენების სასაკლავო და დახორცის, გამიკვირდა, მიზეზები თანხის რომ დააჯარიმეს ის ადამიანი. ზოგადად, ცხენის და ვირის ხორცის ათვისების ხარისხი ძალიან დაბალია, რთულად ითვისებს ორგანიზმი. მოწამლავს არ იწვევს, მაგრამ ცხენის და სახედრის ხორცი სასარგებლო ნამდვილად არ არის, დოზას და ხარისხს გაანია მოწამვლის დროს, – გვითხრა ეთერ სარჯველაძემ.

მანანა ნოზაძე

ხიდახელი რაჭის ტყეებისა და „რიყის დოქების“ ნაწილს ყიდის

ბიზნესმენ დავით ხიდახელი ამბობს, რომ მთავრობა მას „უსაფუძვლო თავდასხმებისგან“ ვერ იცავს და ამ პირობებში გამოსავალს განზე გადგომაში ხედავს. ამიტომაც, როგორც ბიზნესმენი აღნიშნავს, თავისი ოჯახის საკუთრებაში არსებული ქონების ნაწილის გაყიდვა სურს. ბიზნესმენის განცხადება „მთავარმა არსმა“ გამოაქვეყნა.

რადაგან კანონმდებლობა, მთავრობა იმდენად უსუსური და დაუცველია, რომ ღია ტენდერებში გამარჯვებული თავისი მოქალაქე ვერ დაუცავს ასეთი უსაფუძვლო თავდასხმებისა და სიყალბისგან, გამოსავალს იმაშილა ვხედავ, რომ განზე გავდგე! საკვირველია, ლამაზ სახელებს ამოფარებული ამდენი ცრუ, პროვოკატორი, ინფორმაციის დამახინჯებაში დაოსტატებული, ტყუილების გამავრცელებელი ერთად რამ შეკრიბა?! საზოგადოებისთვის ნათლად რომ გამოჩნდეს,



რომ ეს ცრუ მქადაგებელი ვერც ვერავის დამზინებლები და ვერც ვერაფრის გამკეთებელი არიან, მე ვერაფერ ჩემს ოჯახს გამოაცხადონ ტენდერი 2022 წლის 31 დეკემბრამდე, რათა ყველა კვალიფიციურ მსურველს ჰქონდეს იმის შესაძლებლობა, რომ 20%-იანი ფასდაკლებით შეიძინოს იმ ქონების 50%-იანი წილი, რომელიც ჩემმა ოჯახმა შეიძინა, იქნება ეს დოქები თუ სანადირო მფურნეობის ლიცენზია რაჭაში...

ერთი დაველოები მსურველებს, ვინ რისი მყიდველია ან საქართველოში რაიმე გარე ინვესტიციის მომტანი? მანამდე, არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამომავაჩვენა ანგარიში, რომლის მიხედვითაც იმდენი ცრუ, პროვოკატორი დაოსტატებული, ტყუილების გამავრცელებელი ერთად რამ შეკრიბა?! საზოგადოებისთვის ნათლად რომ გამოჩნდეს,

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში



თანაპედროვი მსოფლიო უდიდესი სისწრაფით მიმდინარე გლობალიზაცია, გავრცელების, განსაკუთრებით მხივრების, არაერთ საფრთხეს შეიცავს, რომელთა შორის უმთავრესს საფრთხევანა და საკუთარი ავთენტურობის, განსაკუთრებული მთლად ერთგობა გაძრობა თუ არა, უფროსად თანდათანობით გაფრთხილავად დაპარება უნდა მივიჩნიოთ. ამ პირობებში მით უფრო მეტი ფასი ედება საკუთარი ერის იმ წესჩვეულებათა ყოველმხრივ შესწავლას, რომლებიც უამთა სვლაში ისედაც მინაველებული არიან და რომელთაც, როგორც ჩანს, სამოლოო ანგარიშით გაქრობა უწერიათ. ძველი ტრადიციებისა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ აქა-იქ შემორჩენილი წეს-ჩვეულებებისადმი გულსყურაინი დამოკიდებულების გამოხატვის თვალსაზრისით, რომელიც, ცხადია, პირველ ყოვლისა, სათანადო მეცნიერულ შესწავლას გულისხმობს, უაღრესად საგულსხმ ნაშრომი შემოგვთავაზა სამმა ქართველმა სწავლულმა ეთნოლოგმა ქალბატონმა - აკადემიკოსმა ლია მელიქიძემ და პროფესორებმა მარინა პანდელაშვილმა და ნინო ლამბაძემ, რომელთა ერთ წიგნად - „წაწლობა ლაშარელი, მთავრობისა შენია“ - შეკრული სამი ნაშრომის წარდგენა გამართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნინო მამრაველმა.

მან ხაზი გაუსვა აღნიშნული თემის სენსიტიურობას და მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს წლების მანძილზე არაერთი ქართველი ისტორიკოსი და მწერალი შეეხო, სამოლოო სიტყვა მის შესწავლაში მეცნიერებას ჯერაც არ აქვს ნათქვამი. თავიანთ გამოსვლებში წიგნის თანავეტორებმა - აკადემიკოსმა ლია მელიქიძემ და პროფესორმა ნინო ლამბაძემ, რედაქტორმა ნათია ჯალაბაძემ, აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა, სიტყვით გამოხატეს სხვა სპეციალისტებმა - ისტორიკოსებმა, ეთნოლოგებმა, ფსიქოლოგებმა აღნიშნეს, რომ სწორფრომისა და წაწლობის ინსტიტუტის შესახებ მასალის მოპოვება იმის გამო ჭირს, რომ ამის წინააღმდეგნი თავად ხევესურები და მითილები არიან, არადა ერის სიძველე-სა და მალაღკანეთარელოზობაზე მეტყველ ამ წესის შესახებ სხვა ქვეყნებში, სადაც ის არსებობდა, ხმადაღლა და დაუფარავად ლაპარაკობენ. ხევესურული წაწლობა და ფშაური სწორფრომა ერთ-ერთი დელოკატური ნიუანსია, ამდენად ყველაფერზე საჯაროდ ლაპარაკი გარკვეულ უხერხულობასაც კი იწვევს. აღნიშნული სინთულებების მიუხედავად, სპეციალისტების საერთო აზრით, კვლევები ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

სამივე ნაშრომი - პროფესორ მარინა კანდელაკის „პირადული და სამოგადოებრივი ქართველ მთიელთა ურთიერთობების ტრადიციულ სისტემაში“, პროფესორ ნინო ლამბაძის „კიდევ ერთხელ სწორფრომა-წაწლობის წესების შესახებ“ და აკადემიკოს ლია მელიქიძის „ქალ-ვაჟის ურთიერთობის ნორმები ქართველში“ (ფშაური წაწლობა, ხევესურული სწორფრომა) ერთი და იგივე საკითხი ეძღვნება, რომლის არსი თავადვე სათაურებშია გადმოცემული და რომელსაც ავტორები „ამოუცნობსა და, ამავე დროს, სათაურს“ უწოდებენ.

ამასთან, საკანგებოდ აღსანიშნავია კრებულის შესავალში აკადემიკოს ლ. მელიქიძის სიტყვები, რომელიც, თავის მხრივ, მკვლევარ ზურაბ კიკნაძის გამოთქვამს იმომებს: „მეცნიერება მოვალეა იკვლიოს ამა თუ იმ მოვლენის გენეზისი, მაგრამ სწორფრომის შემთხვევაში, საეჭვოა, მიღწეულ იქნეს რაიმე წარმატება, მისი გენეზისი უნდა იქნებოდეს, შესაძლოა, ამ მიმართულებით ყოველი ცდა განწირულიც კი იყოს“.

იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად საველი პირობებში სწორფრომა-წაწლობის თემაზე ხევესურეთსა და ფშავეთა ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება ძალიან ჭირს, აღმანახში შესული სამივე სტატიის ავტორი, უმეტესწილად მე-19 და მე-20 საუკუნეებში მოძიებული მასალებით ხელმძღვა-



ნელობს და საკითხს შესაბამისად აშუქებს. სამივე ავტორი იკვლევს სწორფრომა-წაწლობა ინსტიტუტის ფენომენს, რომელიც, როგორც პროფესორი მ. კანდელაკი აღნიშნავს: „...განეკუთვნება ინდივიდუალურ ურთიერთობათა კატეგორიას, წყვილი - ქალისა და ვაჟის ერთობას, რომელშიც ორივე სუბიექტი თავისი შინაგანი, ინტიმური სწრაფვის რეალიზებას ახდენდა. მითილთა რწმენის თანახმად, „ხთის გაჩენილას“, იგი „დღრძი ას ცხოვერებისა“.

შეხვედრებდა. „აქედან იწყებოდა ძმობილობის ფაზა, რის გამოც ორივე მხარე ზღვარდადებული იყო, რაც ნიშნავდა, რომ ვერც ქალი და ვერც ვაჟი ურთიერთობაში დაწესებულ ზღვარს ვერ გადავიდოდა“, - აღნიშნავს პროფესორი მ. კანდელაკი. მისი თქმით, ორივე მხარისთვის მკაცრად რეგლამენტირებული იყო ფიზიკური შეხების ადგილები, ხელზე გადაწვევა და კოცნა. „დაწილას თავისი წესი და რიგი ჰქონდა, რაც დანდობილ წაწალს უნდა დაეყვებ... წაწ-

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ სწორფრომა-წაწლობის ფენომენის კვლევის პროცესში, წიგნში შესული სამივე ნაშრომის ავტორი მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პოზიციასაც განიხილავს, რომლებიც როგორც ლიტერატურულ წყაროებიდან, ასევე ხალხური ტრადიციებიდან გამომდინარეობს. მკვლევარები ასევე იხილავენ ამ წესის გაჩენის ისტორიულ საფუძვლებს, ვთქვათ, ხევესურეთში - ლეკიკანობას, რომელიც თავდაყვის ნაგებობებში შეხიზნული ახალგაზრდების დამეგობრებას უკავშირდება. ქორწინების საპირისპიროდ, სწორფრომა-სიყვარულზე დაფუძნებული, რასაც ხევესურეთში „ღვთიურს“ უწოდებენ. აქედან გამომდინარე, სწორფრომა შორის ქორწინების აკრძალვა სიყვარულის შენახვაა, მათ შორის სიყვარული პლატონურია. აღნიშნავს იმ გარემოებასაც, რომ სწორფრომა-წაწლობის ტრადიციის მეშვეობით ყმა-ვილოზის ასაკში შემავალი ქალ-ვაჟის ერთმანეთთან ურთიერთობისთვის მომზადება ხორციელდებოდა. მიაჩნიათ, რომ ხევესური და ფშაველი ქალების კაცთან გაწინასწორებული დამოკიდებულების ფესვები, სწორფრომა-წაწლობის ტრადიციის მეშვეობით, რომლის მეშვეობით ერთმანეთთან შემდგომი ურთიერთობისთვის მომზადება ყმა-ვილოზის ასაკიდანვე იწყებოდა. ამასთან, სწორფრომა და წაწლებს, ერთი მხრივ მისი უფლებების, მეორე მხრივ კი ურთიერთი ნაღვარმშენიერება და სამომავალს უკავშირებენ, რის საფუძველზე გამომდინარეობს დასკვნა, რომ ესაა ყოფილი ღვთაებრივის რეალიზება, და ყმა-ვილოზში „ღვთაებრივი საწყისის გაბატონება“. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ სწორფრომა-წაწლობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ხელოვნური დანათესაების ერთ-ერთი ფორმა, და აღნიშნავს ამ ინსტიტუტის ნაირსახეობებს (პროფესორი ნ. ლამბაძე).

„წაწლობა ლაშარელი, მოგონილია შენია“...

ლეთაქები სანყისის გაზაყოფილება მთაში



შორის ის 16-17 წლის ასაკში, სექსობრივი მომწიფების უამრ იწყებოდა. წინასწარ არჩეულ წყვილთა შორის მკაცრად იყო გაკნობიერებული, რომ ეს იქნებოდა მხოლოდ სულიერ ურთიერთობაში ურთიერთწვდობა, ყოველგვარი ხორციელი მხარის გარეშე. წყვილთა დაახლოება და შეხვედრა აუცილებლად ხორციელდებოდა მესამე პირის, - „უღრის“ - მეშვეობით, რომლის გარეშე ქალი არაფრის დიდებით ვაჟთან მისვლასა და მასთან დაწილას არ იზამდა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ცალკე ქალი და ცალკე ვაჟი ერთმანეთისადმი სწორფრომის არაფრის დიდებით არანაირად - არც თავალით, მით უმეტეს სიტყვით, ამ ქვეყნით - საზოგადოებაში არ გაამჟღავნებდნენ. ამდენად, მათი გაკნობის საქმე ელჩს უნდა ეტვირთა, რომელიც ადამიანის ბუნების კარგი მცნობიც, წყვილის ხასიათების აღლოს უნდა ამდემი უნდა ყოფილიყო, რათა ქმედითი დახმარება გაეწია მათთვის ერთმანეთთან სულიერ ურთიერთობის დამყარებაში, ერთგვარი ინფორმატორ-ტრანსლატორის როლი უნდა შეესრულებინა. ამიტომ, ელჩი, ჩვეულებრივ, ფსიქოლოგიური ანალიზის უნარის მქონე ახალგაზრდა ქალი იყო ხოლმე. მას თავად უნდა აეღო ალოლ სასწორფროდ განწყობილი ქალის სურვილისთვის, გამოეხატა ის და ეთქმევივნებინა ტრფობის ობიექტის სახელი. მერე იგი მიდიოდა ვაჟთან, ატყობინებდა ქალის თანხმობას და დაუთქვამდა ადგილს, სადაც მათ ერთმანეთს

ლეს ერთმანეთი უყვარდათ, მათ შორის კარგი დამოკიდებულება იყო, ისინი ერთმანეთს ასაჩუქრებდნენ, იყვნენ ისეთებიც, რომელთა სიყვარული სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მიმყვებოდათ. ასეთი წაწლები არ ქორწინდებოდნენ“. - წერს აკადემიკოსი ლ. მელიქიძე. ხოლო თუ ამ აკრძალვებს ვაჟი დაარღვევდა, ქალი დგებოდა და მიდიოდა, რაც მამაკაცისთვის დიდი სირცხვილი იყო. წესის ყველა დამრღვევის მიმართ მთას მკაცრი განაჩენი გამოჰქონდა - „ისინი უქორწინებლად ვანულენ წუთისოფელს“ სწორფრომაში „უქნისობის ჩამდენს“, თუ ის ვაჟი იქნებოდა, ჯვარ-სალოცავში დაარისხებდნენ, ქალს კი დაწყველიდნენ. სწორფრომის წესის დამრღვევი სოფლის მოღალატედ ითვლებოდა. ინფორმაცია ამის თაობაზე ინტიმურ-ინდივიდუალური სიფრცვიდან სოციუმის კოლექტიური ცნობიერების სიფრცვიში სწორედ ელჩს გაჰქონდა, რაშიც მისი ქმედების საზოგადოებრივი ხასიათი ვლინდება. ელჩმა, წესისამებრ, სასწორფროდ წყვილის რომელიმე მხარის და, მშა, რძალი არ დაელოდა მხედობად „სწორფრომა - ეს სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის გამოცდა იყო, სულის ძლევა ხორციელ მუხებაზე, ადამიანის ამ უკანასკნელზე ამადლებ...“ ვაჟი მშობილ ქალს ცოლად არ ითხოვდა, არც ქალი მიჰყვებოდა მშობილს, მათი შეუღლება ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელთა ერთმანეთზე დაქორწინებას უტოლდებოდა.

ამრიგად, „სწორფრომა-ქორწინება“ - ერთმანეთის ოპოზიციური ინსტიტუტებია, კონფლიქტური სისტემები, თუმცა კი ისინი ერთმანეთის სინქრონულად მოქმედებენ, ერთნაირს არ გაზიარებენ და სოციუმში წესრიგის თავისებურ ტიპს შქმნიან, როცა სათემო ურთიერთობათა ფართო სპექტრს განამტკიცებენ.“

სწორფრომის ფშაური ანალიზისა წაწლობა - ჩვეულება, როცა გასათხოვარი ქალი უცოლო ვაჟთან წვებოდა და მთელ ღამეს საუბარში ატარებდნენ.

„წაწლობას არც აქვს მიზნად გარყვნილობა, წაწალი თავის დღეში ვერ შეუღლებებოდა წაწალით, არც მომხდარა მკალითი არასდროს, რომ წაწლებს ცოლ-ქმრობა ჩამოეგდოთ ოდესმე,“ - წერდა ამის თაობაზე დიდი ვაჟა-ფშაველა.

ქალს ვაბოვების შემდეგ, სწორფრომა ეკრძალებოდა, ქმარს კი - არა. ოჯახში ქალის სტუმრობისას, ქმარს ცოლი უელჩებდა დასაწოლად.

ქორწინების საკითხში სწორფრომა აქტიურად ეწივრება, ისინი ერთმანეთს საქმროს, ან საცოლეს უჩვენებდნენ“, - აღნიშნავს აკადემიკოსი ლ. მელიქიძე. და იმასაც მითითებენ, რომ „...განხილული საკითხის მსგავსი მოვლენები უცხო არ არის არც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისთვის და არც მეცნიერთათვის. მასთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევების უზრავლესობა ქალ-ვაჟთა ამ ტიპის ურთიერთობის ნორმებს, თავისი ბუნებით და წარმომავლობით ჯგუფობრივ ქორწინების ფორმას მიაკუთვნებს“.

„ანდრეზი“ - რეალური ფაქტის კონსტატაციაა, კონკრეტული კუთხის თუ ზოგადად ქვეყნის ისტორიის ამსახველი. მისი გათვალისწინებით, მკვლევარები ვნაულობენ, რომ სწორფრომისა და წაწლობის ინსტიტუტი შესაძლოა, მე-17-მე-18 საუკუნეებში წარმოშობილიყო, როცა, როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოში ლეკთა და დღილეთა შემოსევები დაიწყო.

აკადემიკოსი ლ. მელიქიძის მოწმობით, წაწლობის არსებობას თავად ფშაველები ასე ხსნიან: „ეს ჩვეულება მამაპაპურია და განწესებულია ლაშა-გიორგის მიერ, რადგანაც თამარ მეფის დროს ლაშაში შთამომავლობის გამრავლებისთვის ლაშაში ქალ-ვაჟებს ერთად აწვევდნენ, ამიტომ წაწლობა ფშავეთა ლაშა-გიორგის განამტკიცებოდა და ლაშარობას იმიტომ მიღებულია საზოგადო წოლა.“

აღნიშნულის გარდა, ქართველ სწავლულ ეთნოლოგ ქალბატონთა სამივე ნაშრომში სწორფრომა-წაწლობის ინსტიტუტთან დაკავშირებით კიდევ მრავალი, უაღრესად საინტერესო გარემოება განხილული, გამოკვლეულია არაერთი მათგანის წარმომომის განვითარება, ისტორიული პირობები, გარკვეული ანალიზები, რომელთა გაცნობა, დარწმუნებული ვართ, მკითხველს - როგორც პროფესიონალს, ისე ჩვენი ხალხის ტრადიციების ტრფიკალს - უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებს.

დასანანი მხოლოდ ისაა, რომ მეტად საგულსხმ გამოცემა მეტად მოკრძალებული ტირაფითაა დასტამბული.

ოთარ ტურაპალია





თბილისის სატრანსპორტო პოლიტიკა გუბინ, ღღუს, სკალ...

დასახლებულ უბანებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაფარვის არეალი 78%-დან 87%-მდე, ხოლო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტევადობა 60%-ით, ჯამში, 84 060 ადგილამდე გაიზარდა. რაც შეეხება მოცდის დროს, ავტობუსების შემთხვევაში ის 28 წუთიდან 18 წუთამდე შემცირდა, ხოლო მეტროში 4-დან 2,5 წუთამდე. აღნიშნული მონაცემები დედაქალაქის მერმა გუბინ, სატრანსპორტო პოლიტიკით ვათავალისწინებელი მომდევნო ეტაპების პრეზენტაციაზე წარადგინა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, ვითარების გაუმჯობესება 2018 წელს შემუშავებული სამოქმედო გეგმის პირველი ეტაპის განხორციელებამ გამოიწვია.

„დედაქალაქის მერმა წარმოადგინა კონკრეტული გეგმა, თუ რა უნდა გაკეთდეს და როგორ უნდა იყოს მოწესრიგებული ეს ყველაფერი: სატრანსპორტო ქსელის განახლება და სინქრონიზაცია, ავტობუსების ჩანაცვლება და რაოდენობის ზრდა, ავტობუსის ჩოლის მოწყობა, რაც ნიშნავს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს ყველაზე კომფორტული, სწრაფი და ხელმისაწვდომი, მიკროავტობუსების რაოდენობის მნიშვნელოვნად, შემცირება და მათი სრული განახლება, მეტროში 12 შემადგენლობის დამატება, ტაქსების რეფორმა, ზონალურ-საათომრივი პარკინგების სისტემის დანერგვა, ასევე, ნაკადების მართვის „ჭკვიანი სისტემის“ დანერგვა“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„2022 წლიდან ამოქმედდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლებული ქსელი. ამ ქსელზე დღესაც მიმდინარეობს დაკვირვება, რა გამოწვევებია, სად არის საჭიროება, დაემატოს ავტობუსი ან მიკროავტობუსი. სრულად განახლდა ავტობუსები და მათი რაოდენობა 655-დან 860 ერთეულამდე გაიზარდა. ყველას გვახსოვს, თუ როგორი საზოგადოებრივი ტრანსპორტი ემსახურებოდა მოსახლეობას.

ქალაქის მასშტაბით დაიხიზა ავტობუსის 47-კილომეტრიანი განცალკევებული ზოლი. ეს რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი. ამ მიმართულებით კიდევ ვმუშაობთ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტმა გადაადგილება შეძლოს ყოველგვარი შეფერხების გარეშე. სრულად განახლდა მიკროავტობუსების პარკი და დღეს ქალაქს 1000 მიკროავტობუსი ემსახურება. მეტროს დაემატა 32, ხოლო კაპიტალურად შეკეთდა 79 ერთეული ვაგონი. მეტროს შქონდა ვაგონები, რომელთა შეკეთება და რეაბილიტაცია შესაძლებელი იყო და რა თქმა უნდა, ეს პროექტი განხორციელდა.

2018 წლის პირველი ოქტომბრიდან ეტაპობრივად განხორციელდა ტაქსების რეფორმა, ხოლო 2019 წლიდან ამოქმედდა ზონალურ-საათომრივი პარკინგების სისტემა, რომელიც მთელი ქალაქის მასშტაბით ჯერ არ არის დანერგილი, მაგრამ ეტაპობრივად მივყვებით ქუჩების, რაიონების მიხედვით. ბევრია ქუჩები ცენტრალურ უბნებში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას არ აქვს შესაძლებლობა, სახლში დაბრუნების შემდეგ, საკუთარი ავტომანქანა საკუთარ საცხოვრებელთან გააჩეროს. შესაბამისად, ამ პროგრამის დანერგვა გაგრძელდება.

„ჭკვიანი“ სატრანსპორტო სისტემის დანერგვის მიზნით გაფორმდა სასესიო ხელშეკრულება, რის შედეგადაც, აღნიშნული სისტემის სრული იმპლემენტაცია 2026 წლამდე მოხდება. ძალიან მნიშვნელოვანი და საკმაოდ ძვირადღირებული მიმართულებაა, მაგრამ ქალაქში ამ პროექტის განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“, – განაცხადა კახა კალაძემ.

„დღეს არსებული გამოწვევებია: 13 პრობლემური კვანძი – ეს საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გადაადგილების თვალსაზრისით, სერიოზულ პრობ-

ლემას ქმნის და იწვევს მგზავრთა რაოდენობის ზრდას. ისინი შესაბამის ზრუნვას ვერ ასრულებენ. ტრანსპორტი საცობში არ უნდა იდგეს. ამისთვის საჭიროა ამ 13 პრობლემური კვანძის მოწესრიგება და ავტობუსის ზოლების მოწყობის გაგრძელება; ავტობუსების მოცდის დროის კიდევ უფრო შემცირება 18-დან 8 წუთამდე – საშუალოდ მოცდის დრო 18 წუთია, თუმცა, არსებობს უბნები, სადაც ადამიანებს ლოდინი ნახევარი საათი ან 40 წუთი უწევთ; ასევე, გამოწვევაა საზოგადოებრივი ტრანსპორტით 30%-ით ნაკლებ დროში გადაადგილების შესაძლებლობის შექმნა. ამისთვის საჭიროა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ახალი ავტობუსების დამატება.

ჩვენი პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ისარგებლოს და რაც შეიძლება ნაკლებმა გამოიყენოს კერძო ავტომობილი, განსაკუთრებით სამუშაო დღეებში; საზოგადოებრივი ტრანსპორტის მთლიანი ტევადობის გაზრდა 84 060 ადგილიდან 110 00 ადგილამდე – ეს შესაძლებელი იქნება ახალი 18-მეტრიანი ავტობუსების დამატებით; გამოწვევაა მეტროსადგურების განახლება, რასაც ასევე, უახლოეს მომავალში მოვალეობით“, – განაცხადა თბილისის მერმა. მისი თქმით, მეტროპოლიტენის განახლებისა და მეტროსადგურების რეაბილიტაციის პროცესი გაგრძელდება.

„მეტროპოლიტენის განახლება უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ამ მიმართულებითაც კონკრეტული ნაბიჯები გადავდგით. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ძალზე ახალი კამპანია შეიქმნა, გამაგრებული სისტემები განახლდა. ამასთანავე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების მანქანა ვთანამშრომლობთ და გავრძელებდა მეტროსადგურების რეაბილიტაციას“, – აღნიშნა კახა კალაძემ. თბილისის მერის თქმით, მომავალი წლიდან ნაკადების ავტომატიზებული მართვისა და კონტროლის სისტემა დაინერგება.

„2023 წლიდან დაიწყება ნაკადების ავტომატიზებული მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა, საცობების აღმოჩენა რეალურ დროში ინციდენტებზე, სწრაფი რეაგირება საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სპეციალური ტრანსპორტის პრიორიტეტულობა. შედეგად, მეტად მოწესრიგებულ და აჩქარებულ მოძრაობას, ასევე, შემცირებულ საცობებს მივიღებთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში, ტაქსების რეფორმის მესამე ეტაპზე ისაუბრა. დედაქალაქის მერი ქუჩების დავიწროების პრობლემასაც შეხვო.

„მეგრჯერ გვსმენია კონტრა იმასთან დაკავშირებით, რომ მერია ავიწროებს ქუჩებს. მერია ქუჩებს არ ავიწროებს. სამწუხაროდ, თბილისში ფაქტობრივად ყველგან გვაქვს არასტანდარტული გზები. ვინც კერძო ავტომობილით სარგებლობს, დააკვირდით, როგორ ქუჩასა და გამზინზე არის სამი ზოლი, რომელიც გარკვეულ ადგილებში იქცევა ორ ან ერთ ზოლად – იქმნება ე.წ. ძაბრი, რომელიც უდიდესი პრობლემაა. ასეთია „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორია. მაგალითად, გმირთა მოედნიდან ან ტელევიზიიდან გამორჩენა სამი თუ ოთხი ზოლიდან, „ლაგუნასთან“ უკვე ჩნდება ორი ზოლი. ეს იწვევს საცობს, რომელიც უდიდესი პრობლემაა. ამიტომ, ჩვენი მიდგომაა, რომ ეს ყველაფერი მოვაწესრიგოთ, დავანერგოთ და პრობლემები მოვაგვაროთ“, – განაცხადა კახა კალაძემ.


თბილისის მერის თქმით, საცობების განტვირთვის გეგმასთან დაკავშირებული ყველა პროექტი საერთაშორისო ექსპერტების მიერ მომზადებული კვლევების საფუძველზე ხორციელდება.

კახა კალაძემ აღნიშნულ პროცესში ჩართულ ადგილობრივსა თუ უცხოელ ექსპერტებს თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი კობახიძე: სამივე კანდიდატი: გელია, საბუიშვილი და გუგუაძე არის ერთმანეთზე უინტელექტო და ერთმანეთზე სამარცხვინო!

